№ 22

შაბათი, 29 იანვარი, 1900 წ.

1877—1900

22

შაბათი, 2[illegible]ვარი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღეს, 29 იანვარს, სიონის ტაძარში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**თავადის ალექსანდრე დავითის ძის ჭავჭავაძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10-ს საათზედ. წირვის შემდეგ მიცვალებულის გვამს წაასვენებენ დიდუბის ეკლესიის გალავანში დასაკრძალავად.

(1—273—1)

**ნატალია ანდრიას ასული ნარიკაშვილისა** და მღ. **პლატონ ხუროშვილი**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის მეუღლისა, ხოლო მეორე დაუვიწყარის სიძისას

**ანდრია ივანეს ძის ნარიკაშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ მისის გვამის განსვენებაზედ დასასწრებლად. მიცვალებულს გაასვენებენ დღეს, 29 იანვარს, დილის 9 საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი ონოპრიენკოსი, № 70 კუკიის სასაფლაოზედ, სადაც წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.

(1—274—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 30 იანვარს, 1900 წ.

საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**სკაპენის ცუღლუტობა**

კომედ. 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა. თარგ. ა. წერეთლისა.

II

**ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ**

ვოდ. 2 მოქმ. გადმოკ. რ. ერისთავის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, გარელი, აბხაზიშვილი; ბ-ნნი მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, იმერიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **მ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, ბენეფისი ბ. სვიმონიძისა.

## ქართველ ქალთა სამკერვალო

სამკერვალო შეკვეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მუღნინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გუგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—86)

## ახალი ამბავი

—

*** მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის, ეგზარხოსის ფლაბიანეს კურთხევით სიონის საკრებულო ტაძარში ამ მომავალ კვირას, რომელიც იწოდება მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკედ, დაიწყება საღამოს მწუხრის შემდეგ ქადაგება სარწმუნოებისა და კეთილზნეობის შესახებ, რომელიც ყოველ კვირა დღეს საღამოობით იქმნება ვიდრე ბზობის დღემდე. ამ კვირას ლოცვის შესრულებისა და დაუჯდომელის გადახდის წინად საღამოს 5 საათზედ, ქადაგების თქმას ინებებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი.

*** ხვალ, 30 იანვარს, წმ. სამების ეკლესიაში მწირველი იქნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. წირვაზედ იგალობებს ქართული საეკლესიო მგალობელთა გუნდი ბ-ნ ა. კავსაძის ლოტბარობით.

*** ხვალ, 30 იანვარს, ქართულ თეატრში, ქართულის დასის არტისტების მიერ, ტფილისის საბალოსნო სკოლის [illegible] სასარგებლოდ, წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოადგენენ მოლიერის 3 მოქ. კომედიას „სკაპენის ცუღლუტობას“ და ვოდევილს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“.

*** ხუთშაბათს, 27 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, არტისტის გ. გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინა გუცკოვის შესანიშნავი ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია „ურიელ-აკოსტა“, რომლის როლსაც ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი თამაშობდა. არტისტები სინიდისიერად მოეკიდებოდნენ თავიანთ როლებს და პიესა კარგად იყო წარმოდგენილი. თვით მობენეფისე მანასეს როლს ასრულებდა. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ასე რომ ბევრნი უკან დაბრუნდნენ უბილეთობისა გამო. მობენეფისეს, რომელსაც საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება, მრავალი საჩუქარი მიართვეს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მოხსენება ქალაქის განაპირა ნაწილების უკეთ მოწყობის შესახებ, დაადგინა მიენდოს ქალაქის ინჟინერს ბ-ნ ალიბეგოვს აცნობოს, რა დაჯდება ვერის ზემოდგან იმ დასახლებულ ადგილების დაგეგმვა, რომელიც სასურველია ქალაქის წრეში იქმნას მოქცეული.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოსცა სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, რომ რადგანაც თითონვე გამართა საქონელთა სავაჭრო ბაკი, აღეკრძალოს ყველას მას გარეთ საქონლით ვაჭრობა. ამას გარდა გამგეობამ შეადგინა წესები, რომლითაც ბაკში საქონლით ვაჭრობის დროს უნდა იხელმძღვანელონ. ეს წესები უკვე დაუმტკიცებია კავკასიის მთავარ-მმართებელს და გარდაუცია გუბერნატორისათვის აღსრულებაში მოსაყვანად.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი ბ-ნი გერშელმანი.

*** კვირას, 30 იანვარს, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის სამკითხველო დარბაზში დანიშნულია „ბაგას“ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც იქნება განხილული საკითხი ამ საზოგადოების ბავშვთა სამკურნალოს არსებობის ბედ-იღბლის შესახებ.

*** რადგანაც კავკასიის რკინის გზის სადგურებზედ აქამდის არ იყო სხვა და სხვა მოწყობილება მსხვილფეხ საქონლის რკინის გზით გადაყვან-გადმოყვანის უფრო გასაადვილებლად, ამიტომ ამ ნაკლის ასაცილებლად მთავრობას გადაუდვია 60,000 მანეთი.

*** ფინანსთა სამინისტროს უკვე შეუტანია სახელმწიფო საბჭოში თამბაქოს სააქციზო გარდასახადის წესის შეცვლის პროექტის დამატებითი მოხსენება.

*** ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველამ, ვისაც გამგეობაში რაიმე საქმისათვის არზა შეაქვს, ამ არზაშივე დაწვრილებით უნდა აღნიშნოს თვისი საცხოვრებელი ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არზა უყურადღებოდ იქნება დატოვებული. ხოლო რომელთაც წერა არ იციან ნატარიუსის წესით უნდა იქმნეს შემოწმებული.

*** როგორც შევიტყვეთ, ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუმტკიცებია ტფილისში საყასბოს გადაკეთების პროექტი. სამუშაოს იჯარით გაცემის ვაჭრობა მოხდება 4 თებერვალს.

*** ამ უკანასკნელს ხანში ტფილისსა და თელავს შუა წესიერი მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია. სადგურ ვაზიანსა და თელავს შუა დიდის თოვლისაგან ისე ჩამორეცხილ-ჩამონგრეულია გზა, რომ მგზავრისათვის მეტად სახიფათოა იქ გავლა. განსაკუთრებით იორის ხიდთან გზა ისეთ ნაირად ჩამონგრეულა, რომ სრულიად არ ეტყობა თურმე, თუ იქ როდისმე საფოსტო გზა ყოფილა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

*** ნავთსნობის ყველა საზოგადოების მგზავრთათვის საერთო სად-

გურის აშენება განუზრახავთ ქ. ფოთის ნავთ სადგურის შუა ხანდაკზე. (МОЛЪ)—ამ სადგურის აგება დაჯდება 7,000 მანეთი.

*** როგორც „კავკ.“-ს გაუგონია, სათანადო მთავრობას აღუძრავს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტფილისის რეალურ სასწავლებელში მეორე ინსპექტორის თანამდებობა იქმნას დაწესებული.

*** ხვალ, 30 იანვარს, ავჭალის ქუჩაზედ სახალხო კითხვათა სადგომში ბ-ნ ფალიაშვილის რუსულ-ქართულის ხოროს მონაწილეობით გამართულ იქნება ქართული სამუსიკო და სასიმღერო საღამო. საღამო დაიწყება $7^1/_2$ საათზედ.

*** დ. სამტრედია. აქაურ სცენის მოყვარეთ 30 დეკემბერს წარმოადგინეს „და-ძმა“ გ. გუნიასი. წმინდა შემოსავალი დარჩა 19 მან. 86 კაპ. ამ ფულიდგან 9 მან. 93 კაპ. გადაეცა აქაურ უფასო წიგნთ-საცავს.

*** მთა წმიდაში, ყიფიანის ქუჩაზედ, ბ-ნ მარცვალოვის ეზოს პირში ჩანგრეულა ქუჩა, ასე არშინ-ნახევრის სიგანეზედ. როგორცა სჩანს, წყლის არხის მილი უნდა იყოს გაფუჭებული. ქუჩა ისეთს ალაგას არის ჩამტვრეული, რომ საშიშოა ღამით გამვლელ-გამომვლელთათვის.

*** ერთ კვირაზედ მეტი იქნება, ტფილისსა და მისს ახლო-მახლო სოფლებში მშვენიერი დარები დაიჭირა.

*** ახალ-სენაკი. მეომნიბუსე მალაკნებს შიგ შუა ბაზარში აქვთ ბინა. კანონით კი ქალაქს გარედ უნდა იყვნენ. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ მალაკნებს და მისს ცხენებს განაპირა ადგილში მიუჩინონ ბინა, თორემ ცხენების ნეხვის სუნი, ვინ იცის, რა ავადმყოფობას არ გააჩენს.

*** ს. ალაგირი, (ოსეთი). ამას წინად აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ნაშუაღამევის 2 საათი იქნებოდა, რაც საყდრის ზარების რეკვა შემოგვესმა. გამოვედით თუ არა გარედ, დავინახეთ, რომ სოფელი განათებული იყო ცეცხლის ალით. აღმოჩნდა, რომ ოსის ფისი სოფიევის სახლს მოსდებოდა ცეცხლი. სტოლიდგან ლამპარი გადმოვარდნილიყო და მოჰკიდებოდა ჯერ იატაკს და იქიდგან სახლს. თუმცა მაშინვე მიეშველნენ მეზობლები, მაგრამ ვერა გააწყეს-რა, რადგან სახლი ჩალით იყო დახურული. ამ ნაირად სოფიევი დარჩა უსახლ-კაროდ და თავს აფარებს მეზობლებს.

*** სოფ. ნატოჩაო, (სენაკის მაზრა). თუმცა აქამდე შინაურს საქონელს იპარავდნენ ჩვენი ღამის რაინდები, მაგრამ ეხლა სახლების გაქურდვასაც მიჰყვეს ხელი. 24 იანვარს ამ სოფლის მცხოვრებს მ. კა—ლს ქურდებმა სახლი გაუტეხეს და გაიტანეს, რაც ხელში-რამ მოხვდათ. სხვათა შორის წაეღოთ 8 ბალიში, 30 მანეთად ღირებული, ერთი დიდი ბუმბული (ლეიბი), 15 მანეთად ღირებული და ერთი კარგი ხალიჩა. მეორე დღეს პატრონი დაკარგულის აღმოჩენას შეუდგა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გააწყო-რა. როგორც აღმოჩნდა, ქურდებს ნივთები ურმით გაუტანიათ. იმავე ღამეს მ. ს. კა—ლის სახლშიაც ყოფილან ეგევე ქურდები და წამოეღოთ ერთი დიდი სპილენძის ქვაბი, მაგრამ მ. კა—ლის სახლში დარჩენიათ ის. ქურდობა ხშირია, მაგრამ ადგილობრივ ადმინისტრაციას ვერც ერთი ვერ აღმოუჩენია, რამაც ქურდები უფრო გაათამამა.

25 დეკემბერს ადგილობრივმა მღვდელმა—მ. სიმონ კალანდარიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა შესახებ. აქაურმა მრევლმაც არ დაიშურა თვისი წვლილი, რომ ოდნავ მაინც არის შემწეობა აღმოეჩინა დაზარალებულთათვის. ჩამოატარა ლანგარი თვით მღვდელმა და შეჰკრიბა 8 მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

პირველ იანვარს აქეთ მუდამ დღე განუწყვეტლივ ჰქრის ღონიერი ქარი, რომელმაც ზოგან სახლებიც შეარყია. მესერა-ღობეებიც არ დარჩა დაუზიანებელი; სახლებს სახურავები გადააგლიჯა; უფრო-კი დააზარალა ისლით დახურული სახლები. საქონლის საკვები—ჩალა—მოიტაცა და აქეთ-იქით გაფანტა.

---

## კახეთის რკინის გზა

21 იანვარს რკინის გზათა დეპარტამენტთან ხ. გ. ციგლერის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ, კავკასიის მთავარ-მმართებლის წარმომადგენლის ი. ი. სანდრიგაილოს თანდასწრებით, განიხილა ინჟინერ სიმბერგის პროექტი კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ პროექტით, როგორც მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, ახალმა რკინის გზამ დუშეთის, თიანეთის მაზრებზედ და შემდეგ თელავის მაზრაზედ უნდა გაიაროს და სიღნაღის მაზრის სოფელ საქობომდე ჩავიდეს. სიგრძე ამ გზისა 167 ვერსი იქმნება.

კომისიას, 21 იანვარს განუხილავს რა ეს პროექტი, დაუდგენია, სხვათა შორის, ის, რომ გზა განიერ-ლიანდაგიანი იყოს, რათა შემდეგ შეიძლებოდეს იმის განგრძობა ზაქათალის ოლქსა და ქალაქ ნუხაზედ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ევლახამდე. ამ გზის გაყვანის კონცესია, როგორც ვუწყით, თავ. ჭავჭავაძესა და ინჟ. სიმბერგს მიეცა. კონცესსია შემდეგ უმთავრესს პირობებს შეიცავს: ვადა 60 წლიწადია, რომლის შემდეგ გზა უსასყიდლოდ ხაზინას გადაეცემა, ამასთან მთავრობას უფლება აქვს ამ დრომდისაც გამოისყიდოს, 20 წლის შემდეგ კი გზის გაყვანიდგან.

როგორც გამოანგარიშებულია, გზის გაყვანას სულ $15^1/_2$ მილიონი მანეთი დასჭირდება. $^1/_5$ ამ ფულისა აღებული იქნება ხაზინის მიერ არა უზრუნველ-ყოფილის აქციების გამოცემით, ხოლო $^4/_5$—არა-უზრუნველ-ყოფილისავე ობლიგაციების გამოცემით. თავისს მხრივ მთავრობა, რადგანაც კახეთის შტოგადასაზიდ საქონელს მოუმატებს ამიერ-კავკასიის გზას, ზოგიერთ შეღავათს მაინიჭებს რკინის გზის გამყვანთ და სუბსიდიასაც დაუნიშნავს სავალო გარდასახადების გასასტუმრებლად.

---

## გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი:

ი. ფანცხავას მიერ ქ. ფოთში.

(დასასრული *)

De mortuis aut bene, aut nihil.

მაგრამ ამით როდი განიმარტება გ. წერეთლის მოღვაწეობა, ქართველი ერის გასაცნობიერებლად -მიმართული. მან კარგად შეიგნო, რომ ქართველთა ეროვნული აზრის გასაცნობიერებლად ნაცნობთა მცირე გუნდი არ ჰკმაროდა. საჭირო იყო, მას თვისი აზრი და მისწრაფება განეფანტა ვრცლად, მთელს სამშობლოს არე-მარეზედ. ამის მისაღწევად-კი ერთად-ერთი უტყუარი საშუალება ყოველ დღიური გაზეთია. აი, ამიტომაც 1866 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით ტფილისში არსდება ყოველ დღიური გაზეთი „დროება“. ეს ხომ მაშინ პირველი საქმე იყო. ეს საქმე-კი, არა თუ მაშინ, ახლაც-კი სიძუნწისა და გარდა დიდ ხარჯსა და ავტანელს ჯაფას მოითხოვდა. ავაკი ამბობს, რომ ჩვენში ლიტერატორობა ქველ-მოქმედებააო. და ეს თუ ასეა ეხლა, მაშინ არა თუ ქველ-მოქმედება, პირდაპირ თავ-განწირულება და მსხვერპლი იყო საჭირო, ვინც ამ საქმეს შეუდგებოდა. და მართლაც, რუსეთიდგან ახლად დაბრუნებული გ. წერეთელი არ იზოგავს თავს, ისე გამუდმებით მუშაობს: რეალურ სასწავლებელში მასწავლებლობს, გარეშე გაკვეთილებსაც იღებს, ამით საკმაო ფულს ჰშოულობს და ყოველ ამას-კი თავის გაზეთს ანდომებს, თითონ-კი ერთს პატარა ოთახში, გაციებულსა და გამურულში სცხოვრობს. ეს უტყუარი ფაქტია. ეს ფაქტი-კი იმის მომასწავებელია, რომ გ. წერეთელს ღრმად უგრძნია სამშობლოს მიმართ სიყვარული და მის სამსახურად თავი თვისი განუმზადებია, ზვარაკად გადაუდვია. ამას ახლანდელი გაბუღუბული ახალგაზდობა არც იზამს და სხვასაც-კი არ მოუწონებს ასეთ საქციელს. მაგრამ მოუთმენელმა სულმა გ. წერეთლისამ აუდიტორიად არც ეს წრე იკმარა, რომელშიაც „დროება“ ვრცელდებოდა. მან მოინდომა აუდიტორიის გაფართოვება, მსმენელთა გამრავლება და ამის მიხედვით თავისს აზრთა და მისწრაფეთა სარბიელის გადიდება. გარდა ამისა მისი სურვილი იყო, რომ კეთილი ცოდნა და ეროვნული ცნობიერება თვით ხალხის უმეტესობას გულში მიხვედროდა პირდაპირ, უშუალოდ. ამ მოსაზრებით, გ. წერეთელმა დააარსა „სასოფლო გაზეთი“, სადაც ხალხის უმეტესობას გამოსადეგ საშუალო ცოდნასთან ერთად ასწავლიდა და გულში უღვივებდა სამშობლოს სიყვარულს და უკანასკნელის სავეთილდღეოდ მოქმედებას აქეზებდა. აქ იხატება გ. წერეთლის ვრცელი, იდეალი და შორეული მისწრაფება, რომელიც მაშინაც და ეხლაც ფრიად სასიკეთო საქმეს წარმოადგენს. და მართლაც, ამ მისწრაფებამ იგი ერთხელ კიდევ გადაჰკიდა დიდს ხიფათს. აქვე უეჭველად მტკიცდება, რომ გ. წერეთელი თავდადებული და გაუსწორებელი ნაციონალისტი იყო.

არავდეს ისეთი შარავანდედი არა ჰქონია მიფენილი გ. წერეთლის სახელს, როგორც მაშინ, როცა ის გვერდში ედგა ნ. ნიკოლაძეს, ამ ჩინებულს კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, ვრცელის საევროპიო ცოდნით ღრმად აღჭურვილს,—და მასთან ერთად „კრებულს“ სტამბავდა. სწორედ ამ დროს ამუშავდა ნაყოფიერად შინაარსით მდიდარი გ. წერეთლის ნიჭი დაადგამოვრენა. სწორედ ამ დროს მან, ნ. ნიკოლაძის მეთაურობით, ისეთ ნიადაგზედ დააყენა პერიოდულ გამოცემათა საქმე, რომ ჟურნალ-გაზეთობას ხალხი შეეჩვია, მკითხველი გაუჩნდა. აი სწორედ იმ დღიდგან დაიბადა ქართული ჟურნალ გაზეთობა და იმ დღიდგანვე გაჩნდა ქართველი მკითხველი. ეს გარემოება-კი ჩვენი ერის ცნობიერების საქმეში არა თუ ეპოქა, ერაა. მაგრამ ამ ხანას დიდ ხანს არ გაუტანია. მოუსვენარი და მოუთმენელი გ. წერეთელი საზღვარ გარედ მიდის. „კრებული“ ისპობა. მას აქეთ მძლავრი მეთაურობაც ნ. ნიკოლაძისა აღარ გაუწევია მას. ეს სწორედ იმ დღიდგანვე „მკრთალი ნათელი“ მიეფინა გ. წერეთლის სახელსაც. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ გვარია გაზრდის ორგანიულის განვითა-

*) იხ. „ივერია“ № 21.

---

# ფელეტონი

### უცხოეთა შორის

უდიდესი გემი.—დე-ბოსსეს ჰაეროსტატი.—ახალი სატელეგრაფო მანქანა.—პროფ. ფრიდრიხის მიერ აღმოჩენილი ახალი სხივები.—ლოთობისაგან მოსარჩენი წამალი.

დღემდის მთელ დედამიწაზედ უდიდეს გემად გერმანიის ერთის სავაჭრო ამხანაგობის გემი ითვლებოდა. ეს გემი 1897 წელს ააგეს; იგი მართლაც უზარმაზარი რამ არის თურმე. მაგრამ მალე პირველობას მეორე გემი ჩამოართმევს, რომლის აგებასაც ერთის წლის წინად შეუდგნენ და ამ ცოტა ხანში დაამთავრებენ კიდეც. სახელად ამ გემს „Oceanic“ ჰქვიან. თუ რამდენად უზარმაზარია ეს გემი, მკითხველს იქიდგან შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ სიგრძე მას 110 საჟენი აქვს, ხოლო სიგანე—12 საჟენი.

თითქმის შეუძლებელია, რომ ამ გემს რამე უბედურება და ხიფათი შეემთხვეს ზღვაში, ისე მკვიდრად და მაგრად არის აგებული. გარშემო „Oceanic“-ს ფოლადი აქვს შემოვლებული. მარტო ღუზა ამ გემისა 150,000 კილოგრამმას იწონის თურმე. კვამლის ორი ამოსასვლელი მილი ხუთ-სართულიანის სახლის სიმაღლე იქმნება. შიგნით ოთახები და დარბაზები სამაგალითოდ არის მოწყობილი. პირველ კლასის მარტო ერთ დარბაზში თავისუფლად მოითავსდება 400 კაცი, ხოლო პალუბაზედ—1800 კაცი. თუ ამას ზღვაოსნებს, აფიცრებს, მემანქანეებს და სხვა მოსამსახურეებს მივუმატებთ, რიცხვით 394 კაცს, გამოვა რომ ამ გემზედ 2200 კაცამდე დაეტევა.

რაც შეეხება სიარულს, ინჟინერები დარწმუნებულნი არიან, რომ „Oceanic“-ი ყველა გემს გაუსწრობს. იმედი აქვს, რომ ეს გემი ლივერპულიდგან (ინგლისშია) ოთხშაბათს საღამოთი გასული ნიუ-იორკში შემდეგ ოთხშაბათს დილით მივა, ე. ი. ერთ კვირაში გადაივლის უზარმაზარ ატლანტიის ოკეანეს. ამ 60—80 წლის წინად ევროპიდგან ამერიკამდე გემი თითქმის სამი თვე უნდებოდა, ეხლა-კი, როგორცა ჰხედავთ, ამავე მანძილს სულ ერთი კვირა არ უნდება.

***

მაგრამ ეს ერთი კვირაც აღარ იქმნება საჭირო, თუ ყველა ის გამართლდა, რასაც ამერიკული ჟურნალი „l'Electricity“ მოგვითხრობს. ეს ჟურნალი დაბეჯითებით ამბობს, რომ ვინმე არტურ დე-ბოსსეპ კაცობრიობის დიდის ხნის სურვილი განახორციელა და ისეთი ჰაერში საფრენი მანქანა ანუ ჰაეროსტატი გამოიგონა, რომელსაც კაცი თავის ნებაზედ ატარებს და საითაც უნდა, იქით წაიყვანსო. ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი, თუ შენც იტყვი მკითხველო, მაგრამ ზემოხსენებული ჟურნალი თავისას არ იშლის და საბუთად ისიც მოჰყავს, რომ უკვე შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომელიც შეუდგა ასეთის ჰაეროსტატების აგებასაო. საზოგადოებას, გაზეთის სიტყვით, ძირის თანხად 200 მილიონი მანეთი ჰქონია. აზრადა აქვს თურმე ოთხი ასეთი ჰაეროსტატი პარიჟის მსოფლიო გამოფენამდის მოასწროს და მსურველნი იმით გადაიყვან-გადმოიყვანოს. ნიუ-იორკიდგან პარიჟამდე ეს ჰაეროსტატი სულ 30 საათს მოუნდება... მართლაც რომ წარმოუდგენელი სისწრაფეა: ვერც ერთი ფრინველი ვერ გაივლის ამოდენა მანძილს ასე მცირე ხანს.

როგორც განზრახულია, სამი ჰაეროსტატი ამერიკასა და ევროპას შუა ივლის, მეოთხე კიდევ—ნიუ-იორკსა და კლონდაიკს შუა. ამასთან კლონდაიკში წამსვლელთათვის სადგურები იქმნება გამართული ჩიკაგოსა, დენვერსა და სან-ფრანცისკოში. კლონდაიკამდე ჰაეროსტატი სულ 36 საათს მოუნდება.

თვით ჰაეროსტატი, როგორც იგივე ჟურნალი გადმოგვცემს, გრძელს ცილინდრსა ჰგავს, რომელსაც თავი და ბოლო წამწვეტებული აქვს. ძირიდგან ცილინდრს ხალხისა და ნივთების მოსათავსებლად უზარმაზარი ვაგონი ექმნება მობმული. ამ ვაგონში 300 კაცი ჩაეტევა. სიგრძე ჰაეროსტატისა 118 საჟენი იქმნება, სიმძიმე ვაგონითურთ—24,000 ფუთი. აი, ამ სიმძიმე მანქანამ, მკითხველო, ერთს საათს ჰაერში 100 მილი უნდა გაირბინოს. სამწუხაროდ, ჟურნალი უმთავრესს არ იუწყება, სახელდობრ იმას, როგორ, რა ნაირად და რა ძალით იქმნება მოძრაობაში მოყვანილი ეს ჰაეროსტატი. თუმცა ამერიკელებისაგან გასაკვირველი არაფერია, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს ამბავი ძალიან ძნელი დასაჯერებელია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჟურნალ-გაზეთებმა და საზოგადოებამ ამ ამბავს ყურადღება მხოლოდ იმიტომ მიაქცია, რომ ამას ისეთი სამეცნიერო ჟურნალი იუწყება, როგორიც „L'Electricity“-ი, რომელსაც სერიოზულ ჟურნალის სახელი აქვს მოპოვებული არა მარტო ამერიკაში, ევროპაშიაც-კი.

***

რამდენად გამოდგება დე-ბოსსეს ჰაეროსტატი, ამისა რა მოგახსენოთ, და აი ორ უნგრელ ტეხნიკოს კი—პოლლაკსა და ვიროგის—რომ შესანიშნავი სატელეგრაფო მანქანა გამოუგონიათ, ეს-კი ყველასათვის აშკარაა. ამ ახალის მანქანის შემწეობით საათში 100 ათასის სიტყვის გადაცემა შეიძლება, ხოლო თუ ელექტრონის ტოკი, რომელიც მანქანას უნდება, გაძლიერებულ იქმნა, 200 სიტყვისაც-კი. რაც უნდა ჩქარა მოლაპარაკე კაცი იყოს, საათში 12,000 სიტყვაზედ მეტს ვერ წარმოსთქვამს, ასე რომ პოლლაკისა და ვიროგის მანქანას ერთს საათში იმდენი სიტყვა შეუძლიან გადასცეს, რამდენის წარმოთქმასაც ერთსა და იმავე დროს ათი ჩქარა მოლაპარაკე კაცი შესძლებს.

ამას წინად პოლლაკს ერთი დეპეშა გაუგზავნია ამერიკულ გაზეთისთვის. დეპეშაში სულ 1200 სიტყვა ყოფილა. აწინდელი საუკეთესო მანქანა ამ დეპეშას $1^1/_2$ საათში ძლივ გადასცემს, პოლაკმა-კი თავისს მანქანის შემწეობით სულ ერთს წუთში გადასცა. ეხლანდელ დროში, როდესაც დეპეშებით მთელს წერილებსა ჰგზავნიან, ასეთ მანქანას მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება, განსაკუთრებით ამ გვარი სატელეგრაფო მანქანა დიდ სამსახურს ომის დროს გასწევს. როგორც ვუწყით, ბრძოლის ველიდგან მეომარ სახელმწიფოთა მთავრობებს და ჟურნალ-გაზეთებს აუარებელი დეპეშები ეგზავნებათ; ხშირად ზოგიერთი გაზეთის დეპეშა რამდენისამე ათასი სიტყვისაგან შესდგება, რის გამო აწ ნელი სატელეგრაფო მანქანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა: ეს განვითარება რიტმიული, ზვირთებისებურია..

უკიდურეს ნაციონალისტის მოუთმენელმა სულმა არ მოასვენა გ. წერეთელი, აქ შეხერხებულიყო. საქმე ის არის, რომ მან მოინდომა თავისი თანამემამულენი გამოეღვიძებინა. ამისათვის კი საუკეთესო მასალას წარმოადგენს ისტორია და ამ ისტორიიდგან ამოღებული წარსული გმირების ყოფა-ცხოვრების აღწერილობა. აი, ამ ხანებში სწორეთ ამ გზას დაადგა გ. წერეთელი. მან უკუ აგდო ბელლეტრისტიკა და ისტორიას მოჰკიდა ხელი, აქედგან ამოიღო მოთხრობები საუკეთესო მოღვაწეთა შესახებ, რათა ამით ჩვენი მამა-პაპის სული და მხნეობა მთავნერგა თანამედროვე მემამულეთა გულში. მაგრამ აქ ბუნების მიერ ბელლეტრისტად დაბადებული და მდიდარი აღმოფრენით დაჯილდოვებული გ. წერეთელი ისტორიას სინამდვილეს არ უჯერებს და ოცნებას გაეტაცებინება ხოლმე. გარდა ამისა, მან ხომ წინად განზრახულის აზრით მოჰკიდა ხელი ისტორიას. რაღა გასაკვირველია, რომ მის საისტორიო გამოკვლევას დიდი ნაკლი ამჩნევია. მათი მნიშვნელობა ის არის, რომ დაწერილია ადვილად გასაგებისა და ცოცხალის ენით. ამიტომ მათის მეოხებით ჩვენში გრცელდებოდა მოთხრობანი ჩვენ მამა-პაპათა ცხოვრების შესახებ. ამ მოთხრობათ მავნებლობაც შეეძლოთ მოეტანათ, რადგან ეს საისტორიო მოთხრობანი უფრო ოცნებათა და ფანტაზიის ნაყოფნი არიან; ისტორია კი პირუთვნელი, პირდაპირი და მართალი უნდა იყოს, ამას მოითხოვს თვით უზიწობა კლიოსი. მაგრამ გ. წერეთელს არც გაემტყუნება. ჩვენი ისტორია ჯერ არ დაწერილა. ამას თავისი გასამართლებელი საბუთებიც აქვს. ისტორიის კვლევასა და მიებას მუყაითი, დამჯდარი და გამუდმებული, მშვიდი კაბინეტური შრომა უნდა. ასეთის შრომისათვის კი ჩვენი ცხოვრება როდის მოწყობილა. ამისათვის არც შეძლება, არც გარემოება და არც ნივთიერი მდგომარეობა ხელს არ გვიმართავს. ჩვენ გვმართებს მხოლოდ იმ იმედით ვისულდგმულოთ, იმიტომ ვიშრომოთ და ვიჯაფოთ, რომ პირუთვნელის ისტორიის შემდგენელს ნიადაგი დავუმზადოთ, და განვუსაზღოთ აუცილებელი კანონი ბუნებისა, რადგან

„რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მიწას სტოვებს საუკუნოსთვის"...

აი, ამიტომ გ. წერეთელსაც შეენდობა, თუ გინდ რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს მის საისტორიო მოთხრობათ და გამოკვლევათ. ჩვენ მისდამი პატივისცემა და მადლის ხსოვნა მაინც გვმართებს, რადგან ამ მისს კვლევათ სარჩულად ყოველთვის და მუდამ კეთილი სურვილი და ღრმა სიყვარული ედო. ამ კეთილისა და სიყვარულისათვის-კი მას პატივი დავდოთ, მოვიხსენიებდეთ მას მონასა უფლისასა და ვევედრებოდეთ უფალსა განსვენებას მისის დამაშვრალის სულისას და ღრმად მადლის გვეწამდეს, რომ მხოლოდ სამშობლოსთვის მოღვაწეთა ხსოვნა აცოცხლებს ერს, გვქონდეს რა ანდერძად „ცბიერის ალბიონის" დიდებულის შვილის შემდეგი სიტყვები:

...„добудь изъ отеческихъ гробовъ
„святой огонь, тотъ сердца пылъ,
„Который ихъ животворилъ"...

## წერილი ხარაგოულიდგან

აგერ სამი წელიწადია, რაც სოფელ ხარაგოულში დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ამ მოკლე ხანში ბევრი წვალება გამოიარა მან საზოგადოების ქონებრივად დაქვეითების და იმ ცრუ მქადაგებლების წყალობით, რომელთაც თავიდგანვე სძულდათ ეს სკოლა და ყოველსავე ხერხს ჰხმარობდნენ, რომ იგი არ დაარსებულიყო აქ.

1897 წლამდის აქ იყო მხოლოდ ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიც გლეხთა და აზნაურთა შვილები ერთად სწავლობდნენ. უკანასკნელ დროს მთავრობამ დაავალა საზოგადოებას სასწავლებლისათვის ახალის შენობის აგება. ხალხი შეუდგა კიდეც ამ საქმეს, მაგრამ საზოგადოება მალე გაიყო ორ-დასად, გლეხთა შორის იჩინა თავი ძველის დროიდგან დაბუდებულმა ბატონყმობის სიძულვილმა და სკოლის აშენებაში აზნაურები აღარ შეიამხანაგეს. „რაც გადამხდება, გადამხდეს, შენი ჭირიმე, და აზნაუშვილს ამ საქმეში თავს არ გავაწვალებინებ; ისინი ჩვენ ამხანაგობას არ გაგვიწევენ, თავისებურ ბატონობას ისინი არ მოიშლიან, ჩვენ არას შეგვეწევიან და ყველაფერი ხარჯი ისევ ჩვენმა დახეულმა ჯიბემ უნდა იკისროს. აბა რას უზამ, შენი ჭირიმე? არ შემოიტანა ხვედრი ფული, რა გინდა რომ უყო? უჩივლებ თუ? თუ უჩივლე, საქმეს წლამდის არ გაგითავებენ, გათრევენ, ისევ შენ დაგახარჯინებენ, და ბოლოს ტყემლისა და ბოლოკის მეტი არა გამოვა. პრისტავი ვერ დაატანს ძალას და მამასახლისი — აზნოულიშვილია, ნება არა გვაქვსო, და ჩვენ-კი სულ რომ არა გაგვაჩნდეს რა, სამ წყებას ტყავს აიღებენ ჩვენ ზურგზედ, გაყიდიან და ფულად მოიხმარებენ, ტყავი ჩვენ უნდა გაგვძვრეს და ჩვენის ოფლით აშენებულ სახლში აზნაურშვილების ბავშვები უნდა გამოიბრინჯონო".

ამ თვალით უყურებდნენ გლეხები აზნაურებს და არას გზით სკოლაში მონაწილეობა არ მიაღებინეს. რაღა უნდა ექნათ აზნაურებს? წავიდნენ, შესჩივლეს თავისი დარდი სასულიერო მთავრობას და სთხოვეს, კერძო სამრევლო სკოლის დაარსების ნება მაინც მოგვეცით, რომ ჩვენი ბავშვები უსწავლელი არ დარჩნენო. მთავრობამ არ დასტოვა მათი თხოვნა უყურადღებოდ და ნება დართო. აზნაურებმაც პირობა დასდეს ერთის წლის შემდეგ ახალი შენობა აეგოთ სკოლისათვის ისეთს გეგმაზედ, როგორიც შეეფერებოდა ორ-კლასიან სასწავლებელს. მანამდის კი სკოლას უფასოდ დაუთმო შენობა ერთმა აზნაურმა, რომელიც ყველაზედ მეტს ჰყვიროდა ამ საქმის გამო, ყველაზედ მეტად იყო მოწადინებული, რომ ეს „საზნაურო" სკოლა მოეწყო ისე, რომ უკეთესი არსად ყოფილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, ეს კეთილშობილი მარტო პირადი ინტერესებით ყოფილიყო გამსჭვალული და არავინ არ იცოდა. ეს ყველაფერი გამოაშკარავდა მეორე წელიწადს, როდესაც სახლი უქირაოდ აღარ დასთმო, თუმცა მისივე პირობის ძალით, სანამ ახალი შენობა არ აიგებოდა, სკოლა მის სახლში უნდა ყოფილიყო. ძალა უნებურად იქირავა აზნაურობამ სახლი სოფლის განაპირას, უცეცხლოდ გაატარეს მთელი ზამთარი მასწავლებელმა და მოსწავლეებმაც. რადგანაც სკოლისათვის სახლი საჭიროდ შეექმნათ, აზნაურებმა მასწავლებელს ბინა ვეღარ მისცეს. აქედგან ასტყდა უკმაყოფილება და საჩივარი მასწავლებელსა და აზნაურთა შორის, რის გამოც ახლად დაარსებულს სკოლას უდროოდ დაქცევა მოელოდა. ამავე დროს მთავრობამ შეადგინა კომისია ბლაღოჩინის ვეფხვაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა ყოველივე ზრუნვა ახალის შენობის აგებისათვის, მაგრამ კომისიამ ისე გააჭიანურა სკოლის შენობის აგება, რომ იგი იძულებულ ჰყო ერთი ადგილიდგან მეორეზედ გადასახლდეს ხოლმე, ერთი სახლიდგან მეორეში და ამ გვარად ეწვალებინა მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც.

რომ ცილის წამებად არ ჩამოგვართვან ეს სიტყვები, საკმაოა გადავავლოთ თვალი კომისიის ამბავს. თითქმის ერთის თვის შემდეგ მ. ვეფხვაძემ შეატყობინა ხსენებულ კომისიის ყველა წევრებს, რათა გამოცხადებულიყვნენ დანიშნულს დროზედ სკოლის აშენების თაობაზედ მოსალაპარაკებლად. ყველამ თავი მოიყარა, მაგრამ თავმჯდომარე ამ დროს ქუთაისში იყო. რა საკვირველია ამ სხდომაზედ არა გაკეთდებოდა-რა. მეორე სხდომა მოხდა ექვსის კვირის შემდეგ. შეიკრიბა ყველა და თავმჯდომარე-კი არსად სჩანდა, რადგან სხვაგან იყო წასული. მაშასადამე, არც ამ სხდომაზედ გაკეთდებოდა რამე. მესამე სხდომა მოხდა კიდევ ერთის თვის შემდეგ თითონ სკოლაში, მაგრამ არც მაშინ გაკეთებულა რამე.

ერთის სიტყვით, დაარსების დღიდგან ხარაგოულის სკოლა მიეცა აბობოქრებულ ზღვის ტალღებს და ყოველ დღე მოელოდა გაქრობა, მაგრამ ბედმა არ უმტყუნა. შარშან ამოანათა მისმა ბედის ვარსკვლავმა, მიაშუქა მას მაცოცხლებელი სხივი და იმედი ჩაუსახა გულში. მისთვის თავიდგანვე სავალალო და საძებარი იყო ერთი ხეირიანი შენობა და დღეს ამ მხრივ იგი უზრუნველ გახდა. ხედავდა რა აზნაურობის უკიდურესს სიღარიბეს, რომელიც მიზეზი უნდა გამხდარიყო სკოლის მოსპობისა, მღვდელი მამა რომანოზ დეკანოსიძე კარგად იყო მიმხვდარი, რომ სკოლისათვის შენობას აზნაურობა ვერ ააგებდა; ამის გამო აღარც სკოლა ექნებოდათ და იმათი შვილებიც მამა-პაპეულს გზაზედ უნდა დამდგარიყვნენ. მამა რომანოზმა განიზრახა მიეშენებინა თავისს სახლისთვის სამ-სართულიანი ქვითკირის შენობა იმ გეგმით, რომ ქვედა ორ სართულში მოთავსებულიყო ორ კლასიანი სასწავლებელი, ხოლო მესამე სართულში გაემართა ეკკლესია სკოლისა-

---

ბი ვერ ასწრებენ ამდენ სიტყვების გადაცემას.

გაგზავნა ამ მანქანით დეპეშებისა ადვილია: როგორცა ვსთქვით, ერთ მანქანას, მაშასადამე ერთ კაცს, 100 ათასი სიტყვის გადაცემა შეუძლიან; ძნელია მხოლოდ მიღება, ანუ უკეთ, მიღებულ დეპეშის გადაწერა. ამისთვის ერთის კაცის ნაცვლად ათი და ოცი უნდა, რომ დროზედ გადასწერონ და პატრონს ჩააბარონ.

* * *

ფრანგული გაზეთები მეორე უფრო საყურადღებო ამბავს გადმოგვცემენ. მოგეხსენებათ, რამდენი უბედურება ხდება იმის გამო, რომ სიღათის ძილით შეპყრობილი მიცვალებულისაგან ვერ გაურჩევიათ. არა მარტო სიღათის ძილით შეპყრობილი, ხშირად გარდაცვლილად ჩაუთვლიათ მისუსტებული ავადმყოფიც-კი, რომელსაც გული შეჰღონებია და ამის გამო სუნთქვა და მაჯის ცემა მიჰსუსტებია. გაზეთებში ხშირად წაიკითხავთ, აქა და აქ ცოცხალი კაცი დაასაფლავეს და მხოლოდ მერე გაიგეს ეს ამბავიო. ამას წინად, სხვათა შორის, „ივერია"-შიც იყო გადმობეჭდილი ერთი ასეთი ამბავი. მიცვალებული ჰგონებიათ და დაუსაფლავებიათ ერთი ფეხ-მძიმე დედაკაცი. შემდეგ, როდესაც საფლავი გაუთხრიათ, უნახავთ კუბოში გადაბრუნებული დედაკაცი და იქვე ახლად დაბადებული ბავშვი, ორივენი უკვე გარდაცვალებულნი.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ბევრი ასეთი შემთხვევა გაუგებარი და შეუტყობარი რჩება. ცოცხლის დამარხვის ამბავი გაუგიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაფლავების შემდეგ რამე მიზეზით საფლავი ხელ ახლა გაუთხრიათ და უნახავთ კუბოში მყოფი. ვინ იცის, რამდენი ცოცხალი ადამიანი დაუსაფლავებიათ, განსაკუთრებით მიყრუებულ და მივარდნილ სოფლებში, მაგრამ ეს ამბავი არავის გაუგია, რადგანაც საფლავი არ გაუთხრიათ.

და აი ეხლა, როგორც ფრანგული გაზეთები გადმოგვცემენ, ერთს გერმანელს პროფესორს, გვარად ფრიდრიხს აღმოუჩენია ახალი სხივები, რენტგენის სხივების მაგვარი, რომლის შემწეობითაც საეჭვო შემთხვევაში ძალიან ადვილია თურმე იმის გაგება, კაცი გარდაცვალებულია თუ არა. ამ სხივებს ისეთი თვისება ჰქონია, რომ სხეულის ძვალსა და რბილს უვლის თურმე. იმის შემწეობით მთელის სხეულის ფოტოგრაფიით გადაღებაც შეიძლება. სამწუხაროდ, გაზეთები დაწვრილებით ამბავს არ გადმოგვცემენ ახლად აღმოჩენილ სხივების შესახებ, ამიტომ შეძლება არა გვაქვს იმის მეტი, რაც ზევითა ვსთქვით, სხვაც ვაუწყოთ მკითხველებს.

* * *

ამ ახალ აღმოჩენათა და გამოკვლევათა შორის ყველაზედ მეტი ყურადღება პროფესორ საპელიეს მიერ გამოგონილმა ლოთობის წამალმა მიიქცია. როგორც ვუწყით, არა ერთი და ორი კაცი იღუპება ლოთობის ანუ ალკოგოლიზმისაგან. ბევრსა ჰგონია, რომ თუ ასეთმა კაცმა მოინდომა, გადაეჩვევა ამ მავნე სენსაო. ეს აზრი შემცდარია. დღეს სამკურნალო მეცნიერებას ლოთობა ავადმყოფობად მიაჩნია, და როგორც ამ უკანასკნელისაგან არ შეიძლება მარტო სურვილითა და გადაწყვეტილებით განკურნება, ისე ლოთი ვერ გადაეჩვევა სასმელს, გინდაც რომ სულითა და გულით მოისურვოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც სიტყვა ლოთს ვხმარობთ, მხედველობაში გვყავს უკიდურესი ლოთები, ანუ ის ალკოგოლიკები, რომელნიც, როგორც რუსები იტყვიან, „Запоемъ" სვამენ მაგარ სასმელებს.

ასეთი ალკოგოლიკების განკურნება მხოლოდ წამლით შეიძლება და თუმცა მკურნალნიც კარგა ხანია შეუდგნენ წამლის გამოგონებას, მაგრამ დღემდის ყოველმავე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მხოლოდ ეხლა ზემოდ დასახელებულ პროფესორს საპელიეს, ვინმე ბროკისა და ტიბოს დახმარებით, გამოუგონია ლოთობის ასაცრელი წამალი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

საპელიეს ორი ცხენი მაგარის სასმელებისთვის შეუჩვევია: საკვებში სპირტს ურევდა თურმე და ისე აძლევდა ცხენებს. ბოლოს ცხენებს ისე შეჰყვარებიათ ასეთი საკვები, რომ სპირტის სუნზედ ერთს ჰხვიხვინს ასტეხდნენ ხოლმე. მაშინ პროფესორს ამ ცხენების სისხლისაგან ასაცრელი წამალი ანუ სითხე (сыворотка) მოუმზადებია. შემდეგ საპელიე ასევე მოჰქცევია ზღვის გოჭებს, იმათ საკვებშიაც აურევია სპირტი და ბოლოს ისე შეუჩვევია, რომ გოჭები საშინელ ალკოგოლიკებად გადაუქცევია. გოჭებს ერთ დღეს არ შეეძლოთ თურმე უსპირტოდ გაძლება. შემდეგ პროფესორი ცხენების სისხლისაგან დამზადებულ ასაცრელ წამლის გამოცდას შესდგომია და ამ აზრით რამდენჯერმე უსხურებია ეს წამალი კან ქვეშ გოჭებისთვის. ყოველ შესხურების შემდეგ გოჭებს სპირტით გაჟღენთილ საკვების დანახვაც-კი ეზიზღებოდათ თურმე, ბოლოს ხომ ისე შესძულებიათ ამ გვარი საკვები, რომ არაფრის გულისათვის აღარ ეკარებოდნენ. პროფესორს ასაცრელ წამლისთვის სახელად ანტი-ეტილინი უწოდებია.

რაკი ანტი-ეტილინს პირველადვე ასეთი სასურველი ნაყოფი გამოუღია, საპელიე ახლა ალკოგოლიკების განკურნებას შესდგომია. პროფესორი მალე დარწმუნებულა, რომ ამ წამალს ისეთივე ზედ-გავლენა და მოქმედება აქვს კაცებზედ, როგორც ზღვის გოჭებზედ. ყველა ის ლოთი და ალკოგოლიკი, რომელთაც ორჯელ-სამჯელ შეასხურა კან ქვეშ ანტი-ეტილინი, შემდეგ ზიზღით უყურებდნენ თურმე მაგარ სასმელებს და აღარც არაყს, აღარც ღვინოს და ლუდს აღარ ეკარებოდნენ. ამ სასმელების ერთი დანახვაც-კი ზიზღსა ჰგვრიდათ თურმე; ამასთან დასნეულებული სხეული უმთელდებოდათ და მალე სრულიად ჯან-საღნი ჰხდებოდნენ.

მკითხველი თითონ მიხვდება, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ ახალ წამალს. როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგან სჩანს, მაგარის სასმელების მოჭარბებულად ხმარებისაგან დღეს თითქმის იმდენივე ხალხი იღუპება, რამდენიც ჭლექისაგან. მთელის ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების მთავრობებმა და მოწინავე კაცებმა კარგა ხანია ამ მავნე სენს ყურადღება მიაქციეს: აარსებდნენ ალკოგოლიკებისათვის საავადმყოფოებს, დიდ გარდასახადს ადებდნენ მაგარ სასმელებს, კანონით უკრძალავდენ ასეთის სასმელების ხმარებას, მაგრამ სასურველ ნაყოფს მაინც ვერ მიაღწიეს. ეხლა-კი, ეჭვი არ არის, ანტი-ეტილინის წყალობით იმ სენს, რომელსაც ალკოგოლიზმს უწოდებენ, ბოლო მოეღება.

ი. ა—ძე

თვის. ამ საქმის განხორციელებას უკვე შეუდგა მამა რომანოზი და იმედია, კიდევაც დაამთავრებს. აღვილი წარმოსადგენია, რომ მამა რომანოზს ცოტა ფული არ დაუჯდება ამ შენობის აგება. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ფული ჰქონია შენახული და რა უშავსო. შეიძლება ასეც იყოს, ვინ იცის, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ის დღეს ამ შენობისთვის ჰყიდის თავისის მამულის თითქმის ორს ნაწილს. ნაღდად რომ ჰქონდეს ფული, მამულს რაღად გაჰყიდდა! ამასთანავე სკოლას უთმობს ეზოდ და საბაღეთ თითქმის ერთ ქცევა ადგილს. შემდეგში-კი აზრად აქვს თავისსავე სახლიც, ეზოცა და მამულიც აქ ამავე სკოლას დაუტოვოს. ამ ნაირი შენობა, როგორიც დაიწყო რომანოზ დეკანოსიძემ, სწორედ შესაფერისია ორკლასიან სამრევლო სასწავლებლისა, და მთავრობაც სცდილობს,—ეხლანდელი ერთ კლასიანი სკოლა გადაკეთდეს ორ კლასიანად. ამ სასიქადულო საქმეში რომანოზ დეკანოსიძეს ცოტა ჰყავს თანამგრძნობელი, ზოგი ისე ამბობს, ზოგი ასე, მაგრამ ის მაინც მტკიცედ ადგია თავისს აზრს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რომანოზ დეკანოსიძე საუკუნო ძეგლს დაიდგამს, რომელზედაც არასოდეს არ ამოიშლება სახელი მისი და მისის მეუღლისა, რომელიც დაუღალავად ამხნევებს ქმარს ამ საკეთილო საქმეში.

პირველი მაგალითია ჩვენ ქვეყანაში, რომ ამ ნაირ სკოლის გამართვა ეკკლესიით ერთ კაცს ეკისროს და მასთან ასე მცირე ქონების პატრონს. საუკუნოდ დარჩება ჩვენში სახელი მამა რომანოზის, დღეს-კი ვუსურვოთ მხნეობა და სიცოცხლე, რომ თავისი აზრი განეხორციელებინოს ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ, რომელიც ქონებრივად და სწავლა-განათლების მხრივ ასე დაცემულია.

ტაბაკინელი

## დამავიწყდა

რიკასნი ყოფა-ქცევა ნაყოფია კეთილშობილის გულისა და პატიოსანის გონებისა.

ტენნისონი.

* * *

ყოველი მამაკაცი სცდილობს ისე შევიდეს სასუფეველში, რომ ცოლი თან არ შეჰყვეს.

ე. ზოლა

* * *

მიხარის მოხილვა დედა-ქალაქის მცხეთისა: მასნი შალატნი და წმინდა ტაძარნი მაგონებენ ჩვენთა წინაპართა წინაპართ.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთები საოცარს მაგალითებს იუწყებიან სპილოს ჭკუისა და მოსაზრების შესახებ. ქ. პრაგაში ცირკის პატრონს, სხვათა შორის, სპილოცა ჰყოლია. ერთხელ წარმოდგენის შემდეგ პატრონი და სპილო ერთ სადგომში მოთავსებულან ღამის გასათევად. ღამე კაცი რაღაც ხმაურობასა და არეულობას გამოუღვიძებია, ხმაურობა იქიდგან მოესმა თურმე, სადაც ფულის ყუთი ჰქონდა შენახული. კაცს მაშინვე დაბმული სპილო აუშვია, რომელიც იქითკენ გაქანებულა, საიდგანაც ხმაურობა მოდიოდა. მალე იქიდგანვე ყვირილი მოისმა. როდესაც ცირკის პატრონს სანთელი აუნთია, შემდეგი სურათი დაუნახავს. სპილოს ხორთუმით ვიღაცა კაცი ეჭირა, რომელიც ამაოდ სცდილობდა განთავისუფლებას. როდესაც დაჭერილს მოუსურვებია ხორთუმის გაკაწრა, სპილოს ოდნავ კედელზედ მიუნარცხებია და ამ რიგად დაუწყნარებია. სპილოს მანამდე ეჭირა თურმე ხორთუმით ქურდი, ვიდრე პოლიციელები მოვიდოდნენ და ჩამოართმევდნენ.

ერთ ქალაქში ცირკისავე პატრონს თავისი სპილო ერთხელ სახლის პირდაპირ ხეზედ ჯაჭვით მიუბავს. იქვე მახლობლად ქვაბით რაღაც საჭმელი დაუდგავს, ზევიდგან ქვა დაუდვია და ბალახი დაუფარებია, თითონ-კი საქმის გამო სხვაგან წასულა. სპილოს ჭამის მადა აღძვრია, იმდენი უწვალებია ხორთუმით ჯაჭვი, რომ ფეხი გაუნთავისუფლებია, და ლაზათიანად შეჭქცევია თავისს პატრონი სადილს. შემდეგ ქვაბი თავისსავე ადგილს დაუდგავს, ქვა და ბალახი დაუფარებია და უკანვე ჯაჭვთან მისულა, მაგრამ რათა პატრონს ქურდობა არ გაეგო, სპილოს ჯაჭვი ხელ-ახლა ფეხზედ შემოუხვევია და ისე დამდგარა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

## გამოსადეგი ცნობა

ბრილიანტი საუცხოოდ იწმინდება ნიშადურის სპირტით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 იანვარი.

**პეტერბურგი.** 26 იანვარს დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის სასახლეში მოხდა ნათლობა დიდის მთავრის ნიკიტა ალექსანდრეს ძისა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ ბულლერის ჯარს მდ. ტუგელზედ მეორედ გადასვლის დღიდგან სამშაბათს საღამომდე მოუკლეს ორი აფიცერი და დაუჭრეს 15. მოკლული და დაჭრილი ჯარის კაცი სულ 216-ია.

**სპირმანი.** ბულლერი ლედი-სმიტის განსათავისუფლებლად მექმედებას ორშაბათს შეუდგა, საზღვაოსნო ზარბაზნებიდგან ყუმბარების სროლა დილის 7 საათზედ დაიწყეს. დილის 11 საათზედ ბურებმა რამდენიმე ყუმბარა ესროლეს ინგლისის ქვეითა ჯარს, რომელმაც ერთის საათის შემდეგ უკან დაიხია; ამავე დროს ინგლისელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ბურების ჯარის მარცხენა ფრთეზედ. ინგლისელებმა საჩქაროდ გასდეს მდინარეზედ სახელდახელო ხიდი, ამასთან ევარტსკოპთან ხევებს უკან დამალულ ზარბაზნებიდგან ყუმბარები დაუშინეს ბურების პოზიციას. შემდეგ საქმეში ინგლისის ქვეითა ჯარიც ჩაერია. ღამის პირველ საათზედ აღებულ იქმნა მაღალი გორა სახელად კრანც-კლოოფი. დღეს დილით ხელ-ახლა დაუწყეს ინგლისელებმა ყუმბარების სროლა ბურების პოზიციებს. მტერმა თავისი ზარბაზნები მაღალ მთიდგან—დოომკლოოგიდგან კრანც-კლოოსკის მარჯვნივ გადაიტანა. ინგლისის ყუმბარებმა დიდი ვნება მიაყენეს ბურების ზარბაზნებს. თოფების სროლამ საღამომდის გასტანა. ბურებმა კრანცის ხელ აღება მოინდომეს. ამ დროს ინგლისელებს ახალი ჯარი მიეშველა და ბურები უკუ აქციეს. შემდეგ ინგლისელნი მთის კიდით გზას გაუდგნენ.

**კაპშტადტი.** 25 იანვარს, დილის 6 საათსა და 20 წუთს, სტერსკრომთან ბრძოლა დაიწყო. ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა. დაწვრილებითი ცნობები არ ვუწყით.


# განცხადებანი

## სტეფანე გულიევის

**მაუდის მაღაზია,** რომელიც ამ ჟამად დახურულ ბაზარშია, 1 თებერვლიდგან გადადის შადინოვის ქარვასლაში ძმ. მილოვების პირდაპირ. (5—252.—3)




(50—267—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მისის თანადასწრებით, 1900 წლის 5 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: უნდა გაიცეს იჯარით სამის წლის ვადით ახლად გადაკეთებული ქალაქის ქარვასლა (შიოევისეული), რომელიც ქალაქის მეექვსე ნაწილში, აბანოებთან იმყოფება. ქარვასლასა აქვს 4 მაღაზია ოთხის ოთახით, სარდაფებით და ფეხის ადგილით სართულში; რვა ოთახია სამხარეულოთი, ბალკონით და ფეხის ადგილით მეორე სართულში და 4 ოთახი ბალკონით და ფეხის ადგილით ზევითა სართულში, ქარვასლის მეელსნაწილში.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს დაწვრილებითი პირობები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ორ საათამდე. (ფ—ნ.—2)

# წყვილი 5 მანეთი

ბუხარის წმინდა ბამბისაგან მომზადებული **საბნები** დიდი, თბილი და ლამაზი. მსურველს შეუძლიან გამოიწეროს ასეთი საბნები მხოლოდ

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ე ს ტ ო რ ი ს ძ ი ს ი ვ ა ნ ო ვ ი ს

**მაღაზიიდგან:** მოსკოვი, ტვერის ქუჩა, პოსტნიკოვის პასსაჟი. დაბარება ფას-დადებით შეიძლება. გამოგზავნის ფასი დამკვეთმა უნდა გადაიხადოს. ერთი საბნის დაბარება არ შეიძლება. ვისაც რკინის გზით ჰსურს მიიღოს, უნდა წინდაწინვე გადაიხადოს ნახევარი ფასი საქონლისა.

წერილები რუსულ ენაზედ უნდა გამოიგზავნოს.

ადრესი: Москва, тверская, пассажъ Постникова, Александру Несторовичу ИВАНОВУ. (3—б.—1)


# ბალანსი სამეურნეო ბანკისა

1 იანვრისათვის 1900 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 19734 | 30 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . | 226 | 63 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . | 30624 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 4602 | 95 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . | 3121 | 38 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . | 236607 | 40 |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | 1230 | 57 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | — | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 8503—62; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 41227— —; გ) საქონელზედ . . . . . 30009—50; დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 5812—85 | 85552 | 97 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | 145 | 03 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . | 1665 | 29 |
| XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | 1917 | 64 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 191 | 21 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 282 | 09 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 988 | 96 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | — | — |
| ს უ ლ | 386900 | 96 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 774 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | 80336 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3243 | 11 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . | — | — |
| IV. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 131205—03; ბ) ვადით . . . . . . . . 157192——; გ) უვადოდ . . . . . . . . 2000—— | 290397 | 03 |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 1956 | 23 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 2058 | 31 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . | 256 | 85 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად. | 300 | — |
| IX. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში აზოვდონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილებაში, უზრუნ.-ყოფ. თამასუქებით . . . . . | 1 | 38 |
| X. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერც. ბანკში, უზრუნ.-ყოფ. %-იან ქაღალდ. | 38 | 90 |
| XI. მიღებული სარგებელი. . . . . . . . . | — | — |
| XII. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 1571 | 35 |
| XIII. 1899 წლის წმინდა მოგება . . . . . . | 6741 | 80 |
| ს უ ლ | 386900 | 96 |
| პასუხის-მგებლობა 774 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . . . | 723024 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | 5900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . . | 818 | 40 |

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 28 Января 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე